

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დევნილების საინიციატივო ჯგუფის საკრებულოს სხდომაზე არდაშვებით საკრებულომ კანონი დაარღვია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად: “თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯარო წარმართოს თავისი სხდომები.”

ამავე კოდექსის 95-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: “ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლების მქონე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.”

საია მიიჩნევს, რომ საკრებულოს სხდომაზე დევნილთა არდაშვების ასეთი ფორმალური და დაუსაბუთებელი მიზეზები, ემსახურება ერთ მიზანს: საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების – გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის - შეზღუდვას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ თბილისის საკრებულო პირველად არ არღვევს კოლეგიური საჯარო დანესებულების ვალდებულებას სხდომების საჯაროდ წარმართვის თაობაზე.

საია კიდევ ერთხელ შეახსენებს ქ. თბილისის საკრებულოს წარმომადგენლებს, რომ სხდომების საჯაროდ წარმართვა არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ამ სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას. ადგილობრივი თვითმმართველობის სხდომების საჯაროობის უმთავრესი დანიშნულება დაინტერესებული პირებისათვის მონაწილეობის მიღების შესაძლებლობაა, რაც შეუსრულებელი რჩება უმეტეს შემთხვევებში.